ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4442346

ნომერი: AR1671393

თარიღი : 28.03.2019

გაცემის თარიღი : 02.04.2019

გაცნობის თარიღი : 04.04.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 17ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ნადირაშვილი პ/ნ 01006009730
- თბილისი დიღმის მას. I კვ. კორ. 1ა ბ. 26

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2917959
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 31.10.2016

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. საჭიროა წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული, სახელმწიფოსთან არსებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს თანხმობა.

2. წარმოადგინეთ შეთანხმებული პროექტის დარღვევით მოწყობილი პანდუსების და ბაქნების ანაზომი ნახაზები გაბარიტული ზომებისა და დახრის პროცენტის დატანით. ასევე წარმოსადგენია ტერიტორიის კეთიმოწყობის ანაზომი და გამწვანებული ფართის საანგარიშო პოლიგონალური ხაზები (კროკი) ფართობის მითითებით. ანაზომი ნახაზები დამოწმებული უნდა იყოს ქ. თბილისის მუნიციპალური ინსპექციის მიერ. საპროექტო ობიექტი მოიყვანეთ შესაბამისობაში დადგენილ სამშენებლო ნორმებთან მიმართებაში და წარმოადგინეთ აღნიშნული დარღვევების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციის მიერ.
3. დამატებით წარმოადგინეთ სპეციალისტის მიერ დამოწმებული სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო (კონსტრუქციული) დასკვნა და ინფორმაცია შემსრულებელი ექსპერტის შესახებ. ამ ეტაპზე წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა არ შეესაბამება ზემოაღნიშნულს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.